

1. ტექნიკური დავალება:

- 1.1. ენგურჰესის წყალსაცავის მშრალი არეალის აგეგმვა უნდა განხორციელდეს რეალურ დროში ლაზერით აღჭურვილი (LiDAR) უპილოტო საფრენი აპარატის (დრონის) საშუალებით;
- 1.2. აგეგმვის პერიოდში ენგურჰესის წყალსაცავი ნაწილობრივ იქნება დაცლილი ზღვის დონიდან დაახლოებით 420 მ ნიშნულამდე.
- 1.3. წყალსაცავის მთლიანი ასაგეგმი ფართობი პროექციაში (წყალსაცავის სარკის ზედაპირი) შეადგენს დაახლოებით 14 კმ².
- 1.4. წყალსაცავის ფერდობების, ხევების და რელიეფის ყველა მახასიათებლის აგეგმვა და სამგანზომილებიანი რელიეფის ციფრული მოდელის ან ანალოგიური კომპიუტერული მოდელის შექმნა უნდა განხორციელდეს ზღვის დონიდან 515.0 მ სიმაღლემდე.
- 1.5. წყალსაცავის მოცულობა განისაზღვრება აგეგმვის პერიოდში ფაქტიურად არსებული სარკის ზედაპირის შესაბამისად. მოცულობის მრუდის აიგება წყალსაცავის სხვადასხვა დონისთვის.
- 1.6. წარმოდგენილი უნდა იქნეს მეთოდოლოგია, თუ როგორ იქნება შესრულებული საველე სამუშაოები, მონაცემთა გაცვლა, მონაცემთა დამუშავება.
- 1.7. საპროექტო მონაცემთა დამუშავება უნდა მოხდეს ლიცენზირებული პროგრამული უზრუნველყოფით. ყველა პროგრამა უნდა იყოს შესაბამისობაში GIS პროგრამებთან (ArcGIS, QGIS, Global Mapper, ERDAS და ა.შ.).
- 1.8. შემსრულებელი ვალდებულია საველე სამუშაოების შესრულების დროს დაიცვას საჭირო უსაფრთხოების რეგულაციები.
- 1.9. გაითვალისწინოს ადგილობრივი კლიმატური პირობები (მაგ. ძლიერი ქარი), რელიეფის სპეციფიკურობა (მაგ. მისადგომად ვარგისია მხოლოდ ერთი ნაპირი და ისიც გარკვეულ ადგილებში), რათა უზრუნველყოს ტექნიკური დავალებით განსაზღვრული სამუშაოთა უსაფრთხო და დროული შესრულება.

2. საბოლოო პროდუქტის სახით წარმოსადგენი დოკუმენტაცია და მასალები ტექნიკური დავალებით განსაზღვრული მოცულობებისთვის მოიცავს:

- 2.1. წყალსაცავის რელიეფის სრული სამგანზომილებიანი რელიეფის ციფრული მოდელი ან ანალოგიური მოდელი;
- 2.2. წყალსაცავის სრული ზედაპირის ორთოფოტოგრაფიული რუკა;
წყალსაცავის და მიმდებარე ტერიტორიის ტოპოგრაფიული რუკა იზოხაზების ჩვენებით 0.5 მ ინტერვალით;
- 2.3. წყალსაცავის მოცულობის მრუდი (გრაფიკული და EXCEL-ის ცხრილით);
კვლევის შედეგად მიღებული რუკები და გრაფიკები წარმოდგენილი უნდა იყოს AutoCAD-ისა და PDF ფორმატში, ხოლო გაზომვების შედეგად მიღებული ნედლი მასა ტექსტური და/ან სხვა რელევანტური ფორმატის ფაილების სახით;
- 2.4. საბოლოო ანგარიში, სრული საველე და კამერულური სამუშაოების მეთოდოლოგიისა და მიღებული მონაცემების აღწერით.
- 2.5. ყველა ზემოთჩამოთვლილი დოკუმენტი გადაეცემა შემსყიდველს საკუთრებაში, როგორც საბოლოო პროდუქტის სახით, ასევე სამუშაო ელექტორნული ფორმატებით.

3. აგეგმვის სიზუსტე:

- 3.1. აგეგმვის სიზუსტის დასაშვები გადახრა არის 10 სმ (XY), 15 სმ (Z);
- 3.2. ზედაპირის სიზუსტის მაჩვენებელი 5 სმ/პიქსელი;